იჯარის ხელშეკრულების
დამატებითი პირობები N1- TCH 69/05-002

ქ. თბილისი 15 აპრილი 2019 წელი

1. მხარეები

1.1.	ბანკი:	
1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	სს საქართველოს ბანკი;
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869;
1.1.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.1.1.2.1.	სახელი და გვარი:	დავით დავითაშვილი (პ/ნ 01001017835);
1.1.1.2.2.	თანამდებობა/სტატუსი:	ოპერაციული დირექტორის მოადგილე;
1.2.	კონტრაჰენტი:	
1.2.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს ბიზნეს ცენტრი ლეონიძეზე;
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	404890882;
1.2.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.2.1.2.1.	სახელი და გვარი:	ეკატერინე მაქაცარია
1.2.1.2.2.	პირადი ნომერი:	19001053838;
1.2.1.2.3.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი;

იმდენად, რამდენადაც **იჯარის ხელშეკრულებაში** დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ: **იჯარის ხელშეკრულების 3.2.1.16. ქვეპუნქტის** (იჯარის განსაკუთრებული პირობები) 17.5. ქვეპუნქტის თანახმად, ბანკის მიერ გადახდილი დამატებითი მომსახურების საფასური მოიცავს ვენტილაცია/კონდიცირების ხარჯს, აღნიშნული შეცდომის გასწორების მიზნით, მხარეები თანხმდებიან შემდეგ დამატებით პირობებზე:

2. <u>მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები</u>

2.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **იჯარის ხელშეკრულების 3.2.1.16. ქვეპუნქტის** (**იჯარის** განსაკუთრებული პირობები) 17.5. ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას. შესაბამისად, **ბანკი** ვალდებულია გადაიხადოს **იჯარის** საგნის გათბობის, გაგრილების, კონდიცირება/ვენტილაციის საფუძველზე გახარჯული კომუნალური მომსახურების (ელ.ენერგია, წყალი, გაზი) საფასური და დიზელ-გენერატორის მიერ მოხმარებული დიზელის საფასური.

2.2. წინამდებარე **დანართის 2.1. პუნქტით** გათვალის წინებული კომუნალური მომსახურების საფასურის დაანგარიშება განხორციელდება **იჯარის** საგნის ფართის გათვალისწინებით, კერძოდ: შენობა-ნაგებობის, რომელშიც განთავსებულია **იჯარის** საგანი, შესაბამისი კომუნალური მომსახურების აბონენტის/აბონენტების ჭრილში არსებული სრული საფასურიდან იმ პროპორციით, რა პროპორციაც უკავია **იჯარის** საგანს აბონენტის/აბონენტების (შენობა-ნაგებობის) სრულ ფართთან მიმართებაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობაში დამონტაჟდება და ამოქმედდება კალორიმეტრი, ბანკი ვალდებულია წინამდებარე **დანართის 2.1 პუნქტით** გათვალისწინებული კომუნალური მომსახურების საფასური გადაიხადოს საიჯარო ფართში განთავსებული კალორიმეტრის მაჩვენებლების შესაბამისად.

2.3. ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან 3 (სამი) დღის ვადაში, **კონტრაჰენტი** გაუგზავნის **ბანკს** შესაბამისი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული კომუნალური მომსახურების საფასურის ინვოის სეროვნულ ვალუტაში, ხოლო **ბანკი** ვალდებულია საანგარიშო თვის დასრულებიდან10 (ათი) დღის ვადაში უზრუნველყოს მომსახურების საფასურის გადახდა.

2.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **იჯარის ხელშეკრულების** გაფორმებიდან/დადებიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით, წინამდებარე **დანართის 2.1. პუნქტით** გათვალისწინებული კომუნალური მომსახურების საფასურმა შეადგინა 13126.58 (ცამეტი ათას ას ოცდაექვსი მთელი ორმოცდათვრამეტი მეასედი) ლარი, რომელიც შესაბამისი მომსახურების პროვაიდერი კომპანიისთვის გადახდილ იქნა **კონტრაჰენტის** მიერ და შესაბამისად, აღნიშნული თანხის **კონტრაჰენტისთვის** გადახდას **ბანკი** უზრუნველყოფს არაუგვიანეს 2019 წლის 17 აპრილისა.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

/ [signature]

კონტრაჰენტი

/ [signature]

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №:268
თარიღი "15" აპრილი 2019 ნ.
ბე.რაოდენობა [signature] ხელმოწერა [signature]